






ოპტიკის შესწავლა გეოგებრას გამოყენებით


სარკე

სათაური: ოპტიკის (სარკე) შესწავლა გეოგებრას გამოყენებით

ავტორი/ავტორთა ჯგუფი: ზურაბ ბერია

რესურსის შექმნის მიზანი არის ხელი შევუწყოთ ფიზიკის მასწავლებლებს სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. Geogebra (გეოგებრა) არის დინამიური მათემატიკური პროგრამა, რომელიც შეიძლება იყოს საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი ოპტიკის შესასწავლად. ის საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ინტერაქტიული სიმულაციები, რითაც შეგვეძლება თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ გეომეტრიული ოპტიკის სხვადასხვა მოვლენა და კანონი.

რესურსი N 1 სარკე



ამ სიმულაციაში წარმოდგენილია უმარტივესი ოპტიკური ხელსაწყო - ბრტყელი სარკე; სარკეში აგებულია საგნის წარმოსახვითი გამოსახულება; ამ სიმულაციაში შესაძლებელია სხვადასხვა მახასიათებლის (სარკის ზომები, საგნის ზომები, მათი ურთიერთმდებარეობა) ცვლა, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს დაანახონ მოსწავლეებს გამოსახულების მიღების და აგების ხერხები სხვადასხვა შემთხვევაში, რაოდენობრივად განსაზღვრონ ან გამოითვალონ ფიზიკური სიდიდეები, ამოხსნან სხვადასხვა ამოცანები, უფრო თვალსაჩინოდ წარმოიდგინონ გეომეტრიული ოპტიკის მოვლენები.

რესურსი განკუთვნილია როგორც ფიზიკის მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც.

